



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 17-18 მაისი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 22 ივნისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 56 , 12.03.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბესარიონ ლასარეიშვილი - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ლაჭავაძე - სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის მოქმედი, აკრედიტებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე 2012 წლიდან (N56; 12.03.2012).

პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური, თანამედროვე ცოდნისა და თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი; ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევები არჩეული კონცენტრაციის (ბიომრავალფეროვნების/გენეტიკის/ ჰიდრობიოლოგიის) მიმართულებით; უზრუნველყოს ბიოლოგიური სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობის, რაოდენობრივი მონაცემების კრიტიკული გააზრების, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის ახალი, წინააღმდეგობრივი იდეების სისტემური გააზრების, სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარების გამომუშავება; მოამზადოს კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, მოაზროვნე სპეციალისტი; აღზარდოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის მქონე თავისუფალი პიროვნება, რომელიც ეთიკური პრინციპების დაცვით შეძლებს საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენას აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე, შეძლებს საკუთარი წვლილის შეტანას ბიოლოგიური დარგის სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტაში.

პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციების მქონე ბიოლოგიის მაგისტრის მომზადებას, რომელიც მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად შეძლებს დასაქმებას სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, საბაჟო და გარემოს დაცვის შესაბამის სამსახურებში, დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებში, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებში, ბოტანიკურ ბაღებში, ზოოპარკში, აკვარიუმში, დელფინარიუმში, სადიაგნოსტიკო ცენტრებში, კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში; ჯანდაცვის სფეროში, ბუნებრივი რესურსების მართვისა და ეკოლოგიური ზედამხედველობის სამსახურებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვაგან.

საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს სასწავლო კურსების სამ ძირითად კონცენტრაციას: ბიომრავალფეროვნება, გენეტიკა და ჰიდრობიოლოგია.

სწავლის ხანგრძლივობა არის 4 სემესტრი (2 წელი). პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS-ს, მთ შორის 80 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები, 30 კრედიტი (10 კრედიტი თითოეული კონცენტრაციისთვის) არჩევითი კურსები და 30 კრედიტი დათმობილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. თითოეული კონცენტრაცია (ბიომრავალფეროვნების/გენეტიკის/ჰიდრობიოლოგიის) შეადგენს პროგრამის საერთო მოცულობის 75%-ს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს, რაც ჯამში შეადგენს 3000 სთ-ს და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო დროს. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობა დგინდება თითოეული სასწავლო კურსისათვის სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრულია ყოველი კონცენტრაციის შესაბამისი აჩევითი სასწავლო კურსები, რომელიც მაგისტრანტის ინტერესიდან გამომდინარე მოცემული მიმართულებით ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შევსება-გადმავებას უზრუნველყოფს.

ექსპერიმენტული კვლევის მეთოდების და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსებში შეძენილი ცოდნისა და უნარების შეჯამება და პრაქტიკულ საქმიანობაში იმპლემენტაცია საწარმოო და სასწავლო/საველე პრაქტიკის კომპონენტით არის გათვალისწინებული.

პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის, უნარების შემაჯამებელ კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც მაგისტრანტი ასრულებს მის მიერ არჩეული კონცენტრაციაში.

პროგრამის პერმანენტული მონიტორინგის, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზის, საკუთარი პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და მოსაზრებების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით პროგრამა მნიშვნელოვნად განახლდა.

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - ბიოლოგიის მაგისტრი. პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას. იგი შედგენილია დარგის სპეციფიკის,

ადგილობრივი, საერთაშორისო გამოცდილებისა და უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და სტრატეგიების გათვალისწინებით.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 4 21 0000410849) მიხედვით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად მიმდინარე წლის 17 და 18 მაისს, 18 მაისს მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება.

ვიზიტამდე დისტანციურად ჩაატარდა მოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაცვალეს უსდ-ს მიერ გადმოგზავნილი მასალების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებები, ჩამოაყალიბეს საკითხები და სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი/საინტერესო საკითხები, რომლებიც გარკვეული იქნებოდა ვიზიტის დღეს სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებისას, ასევე ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ესპერტთა სრული შემადგენლობით. ორი დღის განმავლობაში სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. დაწესებულებამ ასევე შექმნა ყველა პირობა უნივერსიტეტში ადგილზე ექსპერტების მხრიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისთვის.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ბოლოს უსდ-ს გააცნო დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების საფუძველზე გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან **2.3 და 2.6** კომპონენტები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.2, 2.4 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

1.1 გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს კონცენტრაციებთან მიმართებაში, ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, რათა გასაგები იყოს პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის (აბიტურიენტები, სტუდენტები, დამსაქმებელი და სხვ.).

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით და გადაიხედოს რამდენი სწავლის შედეგი, რომელიც აერთიანებს მინიმუმ 2 შედეგს. დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა.

2.3 გადახედო იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, ასევე ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან.

2.3 გადახედო იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი რელევანტური ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები იქნას მითითებული ძირითად წყაროდ.

2.3 გადახედო იქნას ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და თემატიკებს საჭიროების შესაბამისად გაუკეთდეს კორექცია (ჩაემატოს, შეიცვალოს ან ამოღებულ იქნას ცალკეული თემები).

2.6. სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან. სასწავლო კურსების შეფასების სისტემები შემუშავდეს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.6. კურსის შედეგები აისახოს მისი შეფასების მეთოდებში და დაზუსტდეს პროგრამის შედეგებში.

4.2. შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 1.2. სასურველია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და კონცენტრაციებში განისაზღვროს სასწავლო კურსებისა და სამაგისტრო ნაშრომის შედეგებთან კავშირი. ასევე გადაიხედოს, რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს ამათუი სწავლის შედეგს.
- 2.1 სასურველია უცხო ენის მისაღები გამოცდა ჩატარდეს ექსკლუზიურად ინგლისურში.
- 2.2. სასურველია B2 დონის ინგლისური ენის სავალდებულო კურსის გავლა.
- 2.2 სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს დარგობრივი ინგლისური ენის არჩევითი კურსის სახით გავლას.
- 2.4. სასურველია გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა.
- 2.4. სასურველია უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/საბჭო ან მემორანდუმი გააფორმონ სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ.
- 3.1 სასურველია უსდ-მ პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
- 5.1 რეგულარულად მომზადდეს ვოკაბოლები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
- 5.1. სასურველია გაფართოვდეს გარემოეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების საკითხები

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უსდ-ს არგუმენტირებული პასუხი დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და არ გაიზიარა ის.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამაში გაძლიერებულია იმ სასწავლო კურსების სწავლება, რომელიც რეგიონში დასაქმებას შეუწყობს ხელს. ეს სასწავლო კურსები ასეთი დოზით სხვა უნივერსიტეტების ბიოლოგიის პროგრამებზე არ არის წარმოდგენილი და უდაოდ წინამდებარე პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.
- საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალი, რომლის საინფორმაციო მონაცემები მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას იძლევა შიდა ხარისხის განვითარების ზუსტად დაგეგმვის მიზნით.
- იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისთვის მკვლევარების და აკადემიური პერსონალის მატერიალური წახალისების მექანიზმები
- სამეცნიერო კვლევების სანივერსიტეტო კონკურსების უზრუნველყოფა და ფინანსური მხარდაჭერა
- ეფექტური დასაქმების მექანიზმების უზრუნველყოფა
- მაგისტრანტების ჩართვა პუბლიცირებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში
- სტუდენტურ კონფერენციებზე საუკეთესო კვლევითი ნამუშევრის გამოტანის წახალისება

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განვითარებულია რეგიონისთვის სპეციფიკური დარგები და მნიშვნელოვანი კვლევები;
- კვლევების მიმართულებით მჭიდრო კავშირი პრაქტიკისა და კვლევის ობიექტებთან.
- კვლევითი და ექსპერიმენტული კომპონენტების ინტენსიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამაში;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის გაფართოება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტში. პროგრამა შედგენილია დროის მოთხოვნის შესაბამისად, დარგის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების, სახელმწიფოებრივი მიდგომის, რეგიონის თავისებურებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ბიოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალი, და, გარკვეულწილად, უნივერსიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა (შავი ზღვის ფლორა და ფაუნა, სამხრეთ კოლხეთის ბიომრავალფეროვნება, უნიკალური ეკოსისტემები), ხელს უწყობს საკვლევი ობიექტების ხელმისაწვდომობას, პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და კვლევაზე ორიენტირებული ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზანი შეესაბამება ბსუ-ს მისიას, მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ასევე შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიზნებსა და სტრატეგიას, შედგენილია დარგის სპეციფიკის, ადგილობრივი, საერთაშორისო გამოცდილებისა და უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და სტრატეგიების გათვალისწინებით. პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, კვალიფიციური ბიოლოგის მომზადებას, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზნებია:

1. მოამზადოს ბიოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური, თანამედროვე ცოდნისა და თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი; ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევები არჩეული კონცენტრაციის (ბიომრავალფეროვნების/გენეტიკის/ ჰიდრობიოლოგიის) მიმართულებით.
2. უზრუნველყოს ბიოლოგიური სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობის, რაოდენობრივი მონაცემების კრიტიკული გააზრების, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის ახალი, წინააღმდეგობრივი იდეების სისტემური გააზრების, სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარების გამომუშავება;
3. მოამზადოს კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, მოაზროვნე სპეციალისტი; აღზარდოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის მქონე თავისუფალი პიროვნება, რომელიც ეთიკური პრინციპების დაცვით შეძლებს საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენას აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე, შეძლებს საკუთარი წვლილის შეტანას ბიოლოგიური დარგის სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტაში.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები რეალისტურია და მიღწევადი, მაგრამ ზოგადი. პროგრამის მიზნები მეტწილად ასახავს რა უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული, მაგრამ არ ჩანს ბიოლოგიასთან დაკავშირებით კონკრეტულად რას შეასწავლის, რა ტიპის ცოდნას მისცემს სტუდენტებს. ამიტომ სასურველია მოხდეს დარგთან მიმართებაში კონცენტრაციების გათვალისწინებით მიზნების განვრცობა და დაკონკრეტება, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტების, რომელიც უნარებთანაა დაკავშირებული, შემცირება.

ბსუ-ს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება დინამიურობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს; მოიცავს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესს; ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ან/და პროექტების შემუშავება/განვითარება/განხორციელებას, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას და მხარდაჭერას, შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას და სხვა; მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების მიდგომებთან, კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრასთან და შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნისა და მიდგომების გაზიარებას, პერსპექტივების ჩამოყალიბებას, დასახული ამოცანების შესრულების გზების მოძიებას და სხვა; ითვალისწინებს სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის ჩართულობას ინტერნაციონალიზაციის პროცესში; უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის შედეგების უნივერსიტეტის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის დიდ ნაწილს გავლილი აქვს პროფესიული განვითარების ტრენინგები უცხოეთის უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში, აქვთ უცხოეთის საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში, ევროკავშირის საგანმანათლებლო საგრანტო პროექტებში (Tempus, Erasmus+) მონაწილეობის გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მოწვეული პერსონალი - მეცნიერ-თანამშრომლები, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარები, რომელთაც აქვთ ევროპული უნივერსიტეტების სადოქტორო ან/და პოსტდოქტორო პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზანი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უსდ-ს მიერ განხორციელდა დამსაქმებლების გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ, შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორმა, გარემოს ეროვნული სააგენტოს, მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მენეჯერმა, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორმა, მტირალას ეროვნული პარკის დირექტორმა, სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და სხვა.

უსდ-ს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებლები დადებითად აფასებენ ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის (50%), დამოუკიდებლობის (ავტონომიურობის) 50%, პასუხისმგებლობის (90%) უნარს. დამსაქმებელთა 30% პროგრამის კურსდამთავრებულებს მიღებისთანავე ასაქმებს, მაგრამ სრული დატვირთვით შიდა ტრენინგების გავლის შემდეგ. დამსაქმებელთა 30% კურსდამთავრებულებს მიღებისთანავე ასაქმებს ყოველგვარი ტრენინგების გავლის გარეშე. კვლევისას დამსაქმებლების მიერ დასახელდა 3 მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომელსაც უნდა ფლობდეს პროგრამის კურსდამთავრებული. ესენია თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარი და უცხო ენის ცოდნა. დამსაქმებლების 100% თვლის, რომ მათი ორგანიზაციისათვის აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები პერსპექტიული კადრია.

დამსაქმებელმა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფორმად დაასახელა მათი საქმიანობის შესახებ პერიოდულად პრეზენტაციების გაკეთება და გამოცდილი თანამშრომლების მიერ ჩატარებული ტრენინგებით სტუდენტებისთვის თავიანთი ცოდნის, გამოცდილებების გაზიარება, ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობა, სასწავლო პროგრამის შედგენისას ხშირი შეხვედრები და აზრთა გაზიარება, სტუდენტებთან შეხვედრების და მათი საქმიანობის გაცნობა, სტაჟირებაზე სტუდენტების მიღება.

დამსაქმებლები თვლიან, რომ პროგრამამ აქცენტი უნდა გააკეთოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე სტუდენტებში და ამისთვის გაზარდოს სასწავლო კურსებში ლაბორატორიული მუშაობების წილი, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ.

დამსაქმებელმა გამოთქვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მხარდაჭერა ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების განხორციელებაში, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებით.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ინტერვიუზე დამსაქმებლებმა დაადასტურეს გამოკითხვებში მონაწილეობა, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა. ასევე გამოთქვეს მზადყოფნა დაასაქმონ პრაქტიკული უნარების მქონე მოაზროვნე სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ანალიზის, გადაწყვეტილების მიღების, გუნდური მუშაობის და სხვა უნარები.

პროგრამის წარმატებით ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლა გააგრძელონ აკადემიური განათლების მესამე/ დოქტორანტურის საფეხურზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. შესაბამისად პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირების მიერ.

ინფორმაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზნების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია, რადგან ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <https://bsu.edu.ge/>.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
 - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გამტკიცების შესახებ“.
 - შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი
 - დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
 - ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge.
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
 გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს კონცენტრაციებთან მიმართებაში, ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, რათა გასაგები იყოს პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის (აბიტურიენტები, სტუდენტები, დამსაქმებელი და სხვ.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი ავლენს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს (0511 ბიოლოგია).

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურია, მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „ბიოლოგიის მაგისტრი“.

პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებული იყო ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და შესაბამისი პროცედურები. პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშიდან და გასაუმჯობესების შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის მიერ დაინტერესებული მხარეების - პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობით.

ბიოლოგიის კვლევის სფეროს მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს აძლევს დარგისთვის სავალდებულო ცოდნას და უვითარებს შესაბამის კომპეტენციებს,

ამავდროულად შესაძლებლობას აძლევს აირჩიოს სამი კონცენტრაციიდან (ბიომრავალფეროვნება, გენეტიკა და ჰიდრობიოლოგია) ერთ-ერთი და გაიღრმავოს ცოდნა, პრაქტიკული და კვლევითი უნარები არჩეული მიმართულებით.

ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში სწავლის შედეგები შემდეგი სახითაა მოცემული:

პროგრამის ყველა კურსდამთავრებულს, ბიოლოგიის მაგისტრს;

1. ექნება ინტერდისციპლინური განათლება ცოცხალ ბუნებასთან მიმართებაში;
2. ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ცოცხალის ძირითადი ერთეულის - უჯრედის, განვითარებისა და მემკვიდრეობის ძირითადი ერთეულის - გენის მოლეკულური ბიოლოგიის შესახებ; ეცოდინება ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის ძირითადი სტრატეგიები;
3. დაეუფლება თანამედროვე ექსპერიმენტულ მეთოდებს და ბიომეტრიული გამოთვლითი ტექნიკის კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით შეძლებს კვლევის შედეგების სტატისტიკურ დამუშავებას; მონაცემების კრიტიკულ გააზრებას და დასკვნების ჩამოყალიბებას აკადემიური პატიოსნების და ეთიკის პრინციპების დაცვით;
4. შეძლებს ექსპერიმენტული მიდგომების გაცნობიერებას, კვლევითი სტრატეგიის შერჩევას და პროექტების დამოუკიდებლად შესრულებას; შემდგომი სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის განსაზღვრას.

კონცენტრაცია ბიომრავალფეროვნება

5. ექნება სამყაროს ბიომრავალფეროვნების სისტემატიკური, ევოლუციური და ბიოეკოლოგიური საკითხების, საქართველოს ფიტოგეოგრაფიული და ზოოგეოგრაფიული რაიონების ფლორისა და ფაუნის, სამხრეთ კოლხეთის (აჭარის) ფლორისტული კომპლექსების, დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების, ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი ადაპტაციის თავისებურებების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა;
6. კლასიკური გეობოტანიკური და GIS მეთოდების გამოყენებით შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას ველად მუშაობის დროს და სახეობათა რკვევა-იდენტიფიცირების მიზნით; შეემლება შეაფასოს საქართველოს ბიომრავალფეროვნების არსებული პრობლემები და შეიმუშავოს პრევენციული ღონისძიებები.

კონცენტრაცია გენეტიკა:

7. ექნება მემკვიდრეობისა და ცვალებადობის, ონტოგენეზისა და ორგანოგენეზის, მემკვიდრული პათოლოგიებისა და დაბერების გენეტიკური კანონზომიერებების, გენომის ფუნქციონირებისა და გენის ექსპრესიის მოლეკულური მექანიზმების ღრმა და სისტემური ცოდნა;
8. შეძლებს კლასიკური და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას გენეტიკურ, ფილოგენეტიკურ, პოპულაციურ, ბიოსამედიცინო კვლევაში ბიოუსაფრთხოების ნორმების დაცვით; გენეტიკური პროგნოზირების და კონსულტირების წარმართვას ბიოეთიკის სტანდარტების დაცვით.

კონცენტრაცია ჰიდრობიოლოგია:

9. ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა დედამიწის ჰიდროსამყაროს, შავი ზღვის აუზის ჰიდრობიონტების სისტემატიკური და ეკოლოგიური შემადგენლობის შესახებ; დაეუფლება მარიკულტურის თანამედროვე ტექნოლოგიებს და შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფორმირებას.
10. შეძლებს ჰიდრორესურსების შენარჩუნების, მდგრადი გამოყენების და სარეწაო ჰიდრობიონტთა ბუნებრივი კვლავწარმოების ეფექტურობის ამაღლების სტრატეგიების შემუშავებას; მონიტორინგის მიზანმიმართულად წარმართვას და სათანადო დასკვნის გაკეთებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ გადის 6 სწავლის შედეგზე, აქედან 4 სწავლის შედეგი საერთოა სამივე კონცენტრაციისთვის, ხოლო ორი სწავლის შედეგი მიიღწევა თითოეულ კონცენტრაციაში. შედეგები გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადია.

სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში აქტიური ზმნების (ბლუმის ტაქსონომიის) გამოყენებით და გადაიხედოს რამდენიმე სწავლის შედეგი, რომელიც აერთიანებს მინიმუმ 2 შედეგს. მაგ: კონცენტრაციაში ბიომრავალფეროვნება მე-6 შედეგი.

ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა აგებულია რეგიონში დარგის მიმართ არსებული მოთხოვნების (პროგრამის შემადგენელი კონცენტრაციები „ბიომრავალფეროვნება“, „ჰიდრობიოლოგია“ და „ეკოლოგია“)

შესაბამისად, ასევე გათვალისწინებულია სახელმწიფოებრივი მიდგომები და მსოფლიო ტენდენციები და გარკვეული წვლილი შეაქვს სფეროს და საზოგადოების განვითარებაში შესაბამისი კომპეტენციების, ბიოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებით. პროგრამის გაზომვად შედეგს წარმოადგენს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი (დასაქმებულია 94,2%, აქედან 80% სპეციალობით) და დასაქმების შესაძლებლობა. კურსდამთავრებულებთა აბსოლუტური უმრავლესობა მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად ეწევა პრაქტიკულ ან/და სამეცნიერო საქმიანობას, რაც დაადასტურა პროგრამი კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს.

ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები საქმდებიან სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სადიაგნოსტიკო და კლინიკურ ლაბორატორიებში, სასამართლო-საექსპერტო ცენტრებში, გარემოს დაცვის, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში; დავადებათა კონტროლის დაწესებულებებში, ბუნებრივი რესურსების დაცვასთან და რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში – ეროვნულ პარკებში, მუზეუმებში, სამთავრობო სააგენტოებში, ეროვნულ და საერთაშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციებში, კომპანიებსა და ფირმებში; ზოოლოგიურ პარკებსა და ბოტანიკურ ბაღებში; ნაკრძალებში, მუზეუმებში, აკვარიუმებში, დელფინარიუმებში და სხვა.

უსდ-ს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულებთან ერთად. სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია სხვადასხვა აქტივობებისთვის. მაგ: შუალედური და დასკვნითი გამოცდები - სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში სტუდენტთა 60% მიიღებს დადებით შეფასებას (არანაკლებ 11 ქულისა მაქსიმალური 20 ქულიდან შუალედურ და არანაკლებ 21 ქულისა მაქსიმალური 40 ქულიდან დასკვნით გამოცდაზე); რეფერატი/პრეზენტაცია/მინი პროექტი - სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობის, რაოდენობრივი მონაცემების კრიტიკული გააზრების, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ სტუდენტთა 60% მიიღებს დადებით შეფასებას (6 ქულას მაქსიმალური 10 ქულიდან); ლაბორატორიული მუშაობის ანგარიში - ექსპერიმენტულ მეთოდების ფლობა, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და წარდგენის უნარი - შედეგი მიღწეულად თუ სტუდენტთა 60% მიიღებს დადებით შეფასებას (6 ქულას მაქსიმალური 10 ქულიდან); საწარმოო და სასწავლო-საველე პრაქტიკის ანგარიში - შედეგი შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ სტუდენტთა 60% მიიღებს დადებით შეფასებას; სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - კვლევითი სტრატეგიის შერჩევას და პროექტების დამოუკიდებლად შესრულება - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გასულ სტუდენტთა 70 % მიიღებს დადებით შეფასებას. სწავლის შედეგების შეფასება სამიზნე ნიშნულების გამოყენებით მოხდება ყოველი სემესტრის ბოლოს ბსუ-ში მოქმედი ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით - portal.bsu.edu.ge.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკა, რომელშიც განსაზღვრულია სასწავლო კურსების დონეები (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება) შედეგებთან მიმართებაში. პროგრამა გადის 6 სწავლის შედეგზე, აქედან 4 სწავლის შედეგი საერთოა სამივე კონცენტრაციისთვის, ხოლო ორი სწავლის შედეგი მიიღწევა თითოეულ კონცენტრაციაში. კურიკულუმის რუკის მიხედვით 1) კონცენტრაციები „გენეტიკა“ და „ჰიდრობიოლოგია“ ვერ გადის კონცენტრაციების საერთო შედეგებიდან მე-2 შედეგზე; 2) რუკაში არ ჩანს სამაგისტრო ნაშრომის კავშირი კონცენტრაციებთან „ბიომრავალფეროვნება“ და „გენეტიკა“; 3) კონცენტრაციაში - ბიომრავალფეროვნება მე-2 შედეგისთვის არ არის განსაზღვრული გაცნობითი სასწავლო კურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და კონცენტრაციებში განისაზღვროს სასწავლო კურსებისა და სამაგისტრო ნაშრომის შედეგებთან კავშირი. ასევე გადაიხედოს, რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს ამათუიმ სწავლის შედეგს.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკურობას. პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგებზე გასვლის შეფასებისთვის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ განსაზღვრულია სწავლება/სწავლისა და შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი მეთოდით ხდება სტუდენტის აკადემიური შეფასება სხვადასხვა დავალების მიხედვით მაგ: პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია, წერილობითი დავალება, კაზუსი, სიტუაციური ამოცანა, ტესტები, ქვიზი, დისკუსია, დებატები, სემინარი, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, სამაგისტრო ნაშრომი, პრაქტიკის ანგარიშები და სხვა. პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ყოველ სემესტრში შუალედურ გამოცდაზე და სემესტრის ბოლოს, პრაქტიკების შეფასება კი ხდება პრაქტიკის გრაფიკის შესაბამისად. აკადემიური

მოსწრების მონიტორინგის შედეგების დადარებით სამიზნე ნიშნულებთან განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მაჩვენებელი.

რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს გამოიყენება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილების შესახებ; დამსაქმებლების გამოკითხვები, დამსაქმებლების კურსდამთავრებულებითა და სტუდენტებით კმაყოფილების დონის შეფასება; სტუდენტთა გამოკითხვები; დასაქმების და სწავლის გაგრძელების მაჩვენებლები, პროგრამის დამთავრების ან/და სტატუსის შეჩერების/ შეწყვეტის მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის და სხვა მიღწევების მაჩვენებლები და სხვა. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. <https://portal.bsu.edu.ge>-ზე ხდება გამოკითხვა სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რაც დაადასტურა ვიზიტის ფარგლებში უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს.

პროგრამის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების უკუკავშირის ანალიზი. სწავლის შედეგების შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე ინსტრუმენტია სტუდენტის აკადემიური შეფასება. ბსუ-ში მოქმედი გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის მიხედვით გამოცდები ტარდება კომისიური წესით. შემფასებელი იყენებს შეფასების თანამედროვე მეთოდებს. გარდა აღნიშნულისა, სპეციალურად გამოყოფილი პირი ახდენს დასკვნითი გამოცდების ნაშრომების დაშიფრვას და დაშიფრული ნაშრომები შესაფასებლად გადაეცემა პროფესორს/მასწავლებელს. შემფასებელი ვალდებულია, დაასაბუთოს შეფასება, უკუკავშირის მიზნით შეფასებულ ნაშრომზე გააკეთოს წერილობითი, განმავითარებელი კომენტარები, აღწეროს ნაშრომის ხარვეზი და განმარტოს, რა ხარვეზის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა. შეფასებული ნაშრომი მიეწოდება სტუდენტს გასაცნობად. ამგვარი მიდგომა სტუდენტს აძლევს საშუალებას, მიიღოს უკუკავშირი, განსაზღვროს, რამდენად აღწევს სწავლის შედეგებს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები და დაგეგმოს აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. გამოცდებთან დაკავშირებული ყოველგვარი პროცედურა არის აღწერილი (www.bsu.edu.ge; <https://portal.bsu.edu.ge>) და ის ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას და გამჭვირვალობას, არსებული ხარვეზების გამოვლენას და ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს პროგრამის მონიტორინგს, აანალიზებს გამოკითხვის შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის პროგრამის ხელმძღვანელს. სწავლის შედეგებისა და პროგრამის უწყვეტი მონიტორინგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ განვითარებას და გაუმჯობესებას, კერძოდ, შეიძლება მოხდეს სწავლის შედეგების გადახედვა, სასწავლო გეგმის, სწავლება/სწავლის და შეფასების მეთოდების მოდიფიცირება, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა და სხვა ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ცვლილებას განვითარებისკენ.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურიკულუმის რუკა
- პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულების მიხედვით
- ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- სწავლის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა - <https://portal.bsu.edu.ge>
- პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა.
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №23; 20.02.2018
- ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

<p>რეკომენდაციები: პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით და გადაიხედოს რამდენი სწავლის შედეგი, რომელიც აერთიანებს მინიმუმ 2 შედეგს. დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> სასურველია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და კონცენტრაციებში განისაზღვროს სასწავლო კურსებისა და სამაგისტრო ნაშრომის შედეგებთან კავშირი. ასევე გადაიხედოს, რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს ამათუიმ სწავლის შედეგს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულია სამაგისტრო საფეხურის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილების „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად.</p> <p>ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრებს, მაგისტრებს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდებიან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატად, ჩააბარებენ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხო ენასა (B1 დონის დასადგენი ტესტირება) და სპეციალობაში (წერიითი გამოცდა). უცხო ენის სახით აპლიკანტმა შეიძლება ჩააბაროს ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული ენა.</p> <p>პროგრამაზე შესაძლებელია შიდა მობილობის ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და გამჭვირვალე.</p>
--

<p>ვინაიდან დარგობრივი პრაქტიკული და სამეცნიერო ლიტერატურა უპირატესად ინგლისურ ენაზე მოიპოვება, უმჯობესი იქნება თუ მაგისტრატურაში მიღება ექსკლუზიურად ინგლისური ენის ცოდნის საფუძველზე მოხდება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.1.2) • ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესი (დანართი 2.1.1) • კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ დანართი 2.1.6. • ბსუ-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი” (დანართი 2.1.3) • თვითშეფასების დოკუმენტი • ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურთან
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია უცხო ენის მისაღები გამოცდა ჩატარდეს ექსკლუზიურად ინგლისურში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის გათვალისწინებით და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.</p> <p>პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, იგი საჯარო და ხელმისაწვდომია. ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უნივერსიტეტში წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში სამსაფეხურიანი სწავლების დანერგვიდანვე და უკვე აქვს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ბიოლოგიის დეპარტამენტი. პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში ჩართულნი იყვნენ: პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამა შედგენილია და ვითარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ინტერესების და რჩევების, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.</p> <p>უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე, განახლებული ინფრასტრუქტურა, ახალი საკვლევი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები, უახლესი კომპიუტერული ტექნიკა და სწავლების ელექტრონული პორტალი, რომელიც მრავალფეროვან სერვისებს სთავაზობს არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ პედაგოგებსაც; სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ უნივერსიტეტის ლინცენზირებული საბიბლიოთეკო საერთაშორისო ბაზებით.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს აირჩიოს სასწავლო კურსების კონცენტრაცია ბიომრავალფეროვნების, გენეტიკის ან ჰიდრობიოლოგიის მიმართულებით და არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი.</p> <p>პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 4 სემესტრია. პროგრამა 120 კრედიტიანია, აქედან 80 კრედიტი მოდის სავალდებულო სასწავლო კურსებზე, 10-10 კრედიტი (თითოეულ კონცენტრაციაში) არჩევითი კურსებზე და 30 კრედიტი დათმობილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. ნაშრომი წარმოადგენს პროგრამის</p>

ფარგლებში შეძენილი ცოდნის, უნარების შემაჯამებელ კომპონენტს. პროგრამაში გათვალისწინებულია საწარმოო და სასწავლო/სავლე პრაქტიკის კომპონენტი. თითოეული კონცენტრაცია (ბიომრავალფეროვნების/ გენეტიკის/ ჰიდრობიოლოგიის) შეადგენს პროგრამის საერთო მოცულობის 3/4-ს.

პროგრამა სთავაზობს B2 დონის ინგლისური ენის არჩევით სასწავლო კურსს. აქვე განვავითარებთ ჩვენს მოსაზრებას, რომ ინგლისურ ენაზე მოიპოვება ნებისმიერი მიმართულების, თანამედროვე, პრაქტიკული თუ სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ან ინგლისური ენაში ჩატარდეს მისაღები გამოცდა ან/და სავალდებულო იყოს ინგლისური ენის გავლა. კარგი იქნება, თუ მაგისტრანტს შესთავაზებენ დარგობრივ ინგლისურ ენის არჩევით კურსსაც.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს (რომელიც საჭიროებს მკაფიო ფორმულირებას), მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.2.1)
 - პროგრამის სილაბუსები (დანართი 2.2.4)
 - კურიკულუმის რუკა (დანართი 2.2.12)
 - დამსაქმებელთა გამოკითხვა (დანართი 2.2.8)
 - კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (დანართი 2.2.9)
 - ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge (დანართი 2.1.10)
 - ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია B2 დონის ინგლისური ენის სავალდებულო კურსის გავლა
 - სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს დარგობრივი ინგლისური ენის არჩევითი კურსის სახით გავლას

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პროგრამაში გაძლიერებულია იმ სასწავლო კურსების სწავლება, რომელიც რეგიონში დასაქმებას შეუწყობს ხელს. ეს სასწავლო კურსები ასეთი დოზით სხვა უნივერსიტეტების ბიოლოგიის პროგრამებზე არ არის წარმოდგენილი და უდაოდ წინამდებარე პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეადგენს 120 კრედიტს. ძირითადი სფეროს სავალდებულო კომპონენტებს ეთმობა 80 კრედიტი, თავისუფალ არჩევით კომპონენტებს - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი. სავალდებულო 80 კრედიტის ფარგლებში 30 კრედიტი სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს აქვს განკუთვნილი, რომელიც მოიცავს ბიოუსაფრთხოების, უჯრედული ბიოლოგიის, გენის მოლეკულური ბიოლოგიის, ექსპერიმენტული კვლევის მეთოდების, ბიომეტრიის, სტატისტიკური ანალიზის, ბიომრავალფეროვნება და კონსერვაციის სტრატეგიების სასწავლო კურსებს.

აღნიშნული სასწავლო კომპონენტების ათვისების შემდეგ მაგისტრანტი ირჩევს შეთავაზებული სამი კონცენტრაციიდან (ბიომრავალფეროვნების /გენეტიკის/ ჰიდრობიოლოგიის) ერთ-ერთს. თითოეული კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 50 კრედიტს, ხოლო 10 კრედიტი ეთმობა

არჩევით კომპონენტს. სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი ასრულებს არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში.

ბიომრავალფეროვნების კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები: დედამიწის ბიომები, რეგიონული ფლორისტიკა, ფიტოგეოგრაფიის საფუძვლებით, ცხოველთა სამეფო, ზოოგეოგრაფიის საფუძვლებით, საქართველოს მცენარეული საფარი, სამხრეთ კოლხეთის ენდემური და რელიქტური ფლორა, დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება და დაცვა, ადამიანი და ბიომრავალფეროვნება - ბიომრავალფეროვნების სისტემატიკური, ევოლუციური და ბიოეკოლოგიური საკითხების, საქართველოს ფიტოგეოგრაფიული და ზოოგეოგრაფიული რაიონების ფლორისა და ფაუნის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნის შექმნას ემსახურება. ბიომრავალფეროვნების კონცენტრაციაში 5 კრედიტის დათმობილი აქვს გეოინფორმაციულ (GIS) სისტემებს და 10 კრედიტი სასწავლო სავალდებულო პრაქტიკას. ეს სასწავლო კურსები ბიომრავალფეროვნების მიმართულებით ველად მუშაობის და პრაქტიკულ საქმიანობაში ტრადიციული გეობოტანიკური მეთოდების და თანამედროვე გის სისტემების გამოყენების უნარის გამომუშავებას ემსახურება.

გენეტიკის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსებია: უჯრედული ბიოტექნოლოგია, ონტოგენეტიკა, ადამიანის პათოლოგიების ბიოლოგია, მიკროორგანიზმთა გენეტიკა, გერონტოლოგია, იმუნოგენეტიკა, ორგანოგენეზის გენეტიკური რეგულაცია, პოპულაციების გენეტიკური კვლევის მეთოდები, გენეტიკური პროგნოზირება და კონსულტირება, რომლებიც ფოკუსირებულია იმაზე, რომ მაგისტრანტმა მიიღოს სამეცნიერო ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გენეტიკის მიმართულებით განივითაროს. ამავე კონცენტრაციაში 5 კრედიტი დათმობილი აქვს საწარმოო და 5 კრედიტი სასწავლო სავალდებულო პრაქტიკას, რაც პროგრამით განსაზღვრული შედეგის: გენეტიკურ კვლევებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში კლასიკური და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება.

ჰიდრობიოლოგიის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები: შავი ზღვის უხერხემლოები, შავი ზღვის იქთიოფაუნა, ჰიდრობიონტთა კვლევის მეთოდები, ზღვის ძუძუმწოვრები, ზოოტოქსიკოლოგია, გამოყენებითი ჰიდრობიოლოგია, მარიკულტურა, GIS სისტემები და სასწავლო-სავალდებულო პრაქტიკა ჰიდრობიონტთა ბიომრავალფეროვნებაში ორიენტირებულია დედამიწის ჰიდროსამყაროს, შავი ზღვის აუზის ჰიდრობიონტების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნის, ჰიდრორესურსების შენარჩუნების, მდგრადი გამოყენების პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე; ემსახურება ჰიდრობიონტთა ბუნებრივი კვლავარმოების ეფექტურობის ამაღლების სტრატეგიების დამოუკიდებლად შემუშავების და პასუხისმგებლობის კომპეტენციების გამომუშავებას.

პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში: ბიოუსაფრთხოება, ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები, უჯრედული ბიოტექნოლოგია, პოპულაციების გენეტიკური კვლევის მეთოდები და სხვ. შეტანილია ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი. მათი ათვისების შედეგად მაგისტრანტი შეიძენს ნიმუშის შეგროვება-დამუშავების, აპარატურასთან უსაფრთხო მუშაობის, ექსპერიმენტის ჩატარების, შედეგების ინტერპრეტაციის, ანალიზის და ანგარიშის მომზადების უნარებს.

წინამდებრე პროგრამით გათვალისწინებული 10 კრედიტი განკუთვნილია არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომელთა საკმაოდ ფართო ჩამონათვალი არის შემოთავაზებული თითოეული კონცენტრაციისთვის.

თითოეული კონცენტრაციაში სასწავლო-სავალდებულო და საწარმოო პრაქტიკა უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის, უნარების შეჯამებას.

ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 დონის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობის გამომუშავებას, ხოლო მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ბიოლოგიის მაგისტრი შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის/სპეციალობების ჩამონათვალს. პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არსებითად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

ხარისხის სამსახურის და აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო დოკუმენტების შედგენაში უაღრესად დიდი შრომა არის ჩადებული და მკაფიოდ იგრძნობა მათი პროფესიონალიზმი. თუმცა ფიქსირდება გარკვეული ტიპის ხარვეზები, რაც კორექციას საჭიროებს.

ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით გვაქვს გარკვეული ტიპის შენიშვნები.

1. **ზოგიერთ საგანში აღინიშნება თემატიკების გადაფარვა საბაკალავრო საფეხურზე წარმოდგენილ საგნებთან**, კერძოდ, უჯრედული ბიოლოგიაში (გადაფარვებია ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ ციტოლოგიის კურსის, ასევე სამაგისტრო საფეხურის მცენარეთა ბიოტექნოლოგიის თემებთან), გენის მოლეკულური ბიოლოგიის თემები გადაფარვამია მოლეკულური გენეტიკის თემებთან; უჯრედული ბიოტექნოლოგიაში (თემები გადაფარვამია ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ ზოგადი

ბიოტექნოლოგიის კურსის და სადოქტორო საფეხურზე შეთავაზებული უჯრედული ბიოტექნოლოგიის თემებთან), ადამიანის პათოლოგიების ბიოლოგიაში (თემები გადაფარვამია ბაკალავრიატის სამედიცინო გენეტიკის საკითხებთან), იმუნოგენეტიკა (პირველი 4 თემა გადაფარვამია ბაკალავრიატის ზოგადი იმუნოლოგიის თემებთან) და სხვ.

2. **ზოგიერთ საგანში მოცემული სასწავლო ძირითადი ლიტერატურა მეორდება ამავე საფეხურის ან ბაკალავრიატის საფეხურზე არსებული ზოგიერთ საგანში**, კერძოდ, გენის მოლეკულურ ბიოლოგიაში (ხუხუნაშვილი, მოლეკულური ბიოლოგია, 2015; იგივეა რაც ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ მოლეკულური ბიოლოგიის სასწავლო კურსში), უჯრედული ბიოტექნოლოგიაში (ქობალია, მცენარეთა ბიოტექნოლოგია, 2008; კვესიტაძე, ბიოტექნოლოგია 1999; ბაკურაძე, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლები, 2009; ლიტერატურა იგივეა რაც სამაგისტრო საფეხურის გენეტიკური ინჟინერიის, ასევე ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ ზოგადი ბიოტექნოლოგიის და სადოქტორო საფეხურზე არსებულ უჯრედული ბიოტექნოლოგიის სასწავლო კურსებში), მიკროორგანიზმთა გენეტიკაში (გ. გოგიჩაძე, სამედიცინო მიკრობიოლოგია, 2006 იგივეა რაც ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ „მიკრობიოლოგია ვირუსოლოგიის საფუძვლებით“ სასწავლო კურსში; რ.ხუხუნაშვილი, მოლეკულური ბიოლოგია, 2015 იგივეა, რაც სხვადასხვა საფეხურზე არსებული მოლეკულური ბიოლოგიის სასწავლო კურსში), იმუნოგენეტიკაში (თ.ჩიქოვანი, იმუნოლოგია, 2017; იგივეა რაც ბაკალავრიატის საფეხურზე არსებულ ზოგადი იმუნოლოგიის სასწავლო კურსში) და სხვ.

3. **იმუნოგენეტიკის საგანში მითითებული ძირითადი ლიტერატურა სრულად ვერ შეესაბამება სასწავლო კურსის თემების შინაარსს**, კერძოდ მითითებულ სახელმძღვანელოში (თ.ჩიქოვანი, იმუნოლოგია, 2017) მხოლოდ 2 თავი შეესაბამება მოცემულია კურსის თემების შინაარსს; ამდენად მითითებული ლიტერატურა ვერ გამოდგება საგნის ასათვისებლად.

4. **ზოგიერთ საგანში აუცილებელია თემების კორექტირება** (ამოღება ან ჩამატება). კერძოდ საგანში „ადამიანის პათოლოგიის ბიოლოგია“ მხოლოდ გენეტიკური დაავადებებია განხილული, მაშინ როდესაც არაგენეტიკური პათოლოგიების მთელი გამა ყურადღების მიღმა რჩება; სასურველი იქნებოდა ამ საგანში ზოგადი პათოლოგიის (პათოლოგიური ფიზიოლოგიის და მორფოლოგიის) თემები შეტანილიყო. ამავე დროს ორი თემა (მე-11 და მე-12) ეთმობა იმუნოდეფიციტებს, რაც ბაკალავრიატის საფეხურზე ზოგადი იმუნოლოგიის კურსში ისწავლება; აგრეთვე „გერონტოლოგიის“ სასწავლო კურსში არ არის იმუნოგერონტოლოგიის საკითხები შეტანილი, რაც თანამედროვე ბიო-მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე კვლევის მიმართულებას წარმოადგენს. აუცილებელია იმუნოგერონტოლოგიის თემების შეტანა, მით უფრო, რომ ამ სფეროში უკვე არა ერთი მონოგრაფია გამოიცა;

5. **ცალკეულ საგნებში უხვად არის მითითებული ლიტერატურა იმ ენაზე, რომლის ცოდნა მაგისტრანტს არ მოეთხოვება**. კერძოდ ზოგიერთ სილაბუსში ძირითად წყაროებში უხვად არის რუსულენოვანი ლიტერატურა მითითებული. არაინგლისურენოვანი წყაროები შეიძლება დამხმარე ლიტერატურაში იქნას გადატანილი. ასევე სხვადასხვა ენებზე ზოგიერთი მითითებული ლიტერატურის უფრო განახლებული გამოცემები უკვე არსებობს, რომელთა მითითება უახლესი ცოდნის მიღების საშუალებას მისცემს მაგისტრანტს. ცალკეულ სილაბუსებში მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოები, რომლებიც არ გამოდგება რელევანტური ინფორმაციის მისაღებად.

6. სხვადასხვა საგნებში ძირითად ლიტერატურაში აუცილებელია **უცხოური სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემების** (ბოლო წლების) მითითება, ეს გარკვეულ წილად მაინც გაუწევს კომპენსაციას იმ რეალობას, რომ ცალკეულ საგნებში არსებული ქართული სახელმძღვანელოები სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს არ შეესაბამება ან მოძველებულია და ახალი ჯერ არ შექმნილა. ვიზიტის დროს როგორც კათედრებზე, ისე ბიბლიოთეკაში ჩვენ ვიხილეთ არა ერთი უახლესი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, თუმცა ისინი პრაქტიკულად არ არის ასახული სილაბუსებში.

ზემოთ აღწერილი შენიშვნები ეხება მხოლოდ რამდენიმე საგანს, მათი შესრულება იოლია და მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.3.1)
- სილაბუსები (2.3.2)
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- გადახედით იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან
- გადახედით იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი რელევანტური ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები იქნას მითითებული
- გადახედით იქნას ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და თემატიკებს საჭიროების შესაბამისად გაუკეთდეს კორექცია (ჩაემატოს, შეიცვალოს ან ამოღებულ იქნას ცალკეული თემები).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო უნარების განვითარება, მათი კვლევით პროექტებში და ფართო სპექტრის პროფესიულ საქმიანობაში ჩართვით; სასწავლო-საველე და საწარმოო პრაქტიკები და სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის შესრულება. ამის მიღწევა ხდება დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობით და მრავალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის არსებობით. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად დახმარებას უწევს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს.

პროგრამა შედგენილია პრაქტიკული უნარების თანმიმდევრულად გამომუშავების პრინციპით. პრაქტიკული უნარების განვითარება და პროფესიულ საქმიანობაში ტრანსფერის უნარის ჩამოყალიბება სასწავლო-საველე და საწარმო პრაქტიკის კომპონენტებით ხორციელდება. პრაქტიკა პროგრამის ყველა კონცენტრაციის (ბიომრავალფეროვნება/ გენეტიკა/ ჰიდრობიოლოგია) სავალდებულო კომპონენტია. პრაქტიკის კომპონენტი ხელს უწყობს ნიმუშების შეგროვება-დამუშავების, ველზე შეგროვილი მასალის კამერული დამუშავების, იდენტიფიკაციის მეთოდების ათვისებას. ასევე, ლაბორატორიული სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების უნარის ჩამოყალიბებას, საწარმოო საქმიანობასთან შეჩვევას.

სასწავლო კურსებით გათვალისწინებულია რეფერატის და/ან მინიპროექტის მომზადება, რომელიც სტუდენტს ლიტერატურული მასალის მოძიების, კვლევის შედეგების კრიტიკული გააზრების და დასკვნების ჩამოყალიბების უნარებს უვითარებს.

სამაგისტრო ნაშრომში, აკუმულირებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები. ეს კომპონენტი პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების შემაჯამებელ მტკიცებულებას წარმოადგენს.

გასულ წლებში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან 2 მაგისტრანტის მიერ მოპოვებული იყო მაგისტრანტების გრანტი, აგრეთვე 7 მაგისტრანტი ჩართული იყო ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო საგრანტო პროექტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი თანაავტორობით გამოქვეყნდა პუბლიკაციებიც.

მაგისტრანტები ყოველ წლიურად მონაწილეობენ საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციებში.

ბსუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევების სამსახური და [სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი](#). სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით საქმიანობას არეგულირებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოცემულია ბსუ-ს ვებ-გვერდზე და სტუდენტის გზამკვლევაში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დებულება „ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიზანია, დაადგინოს სტუდენტთა ინდივიდუალური, ერთობლივი ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. დაფინანსების

მოპოვების მიზნით წარმოდგენილი პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის.

კონფერენციაზე გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომები იბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში. კონფერენციის ყველა მონაწილეს და სამეცნიერო ხელმძღვანელს გადაეცემა სხვადასხვა ხარისხის დიპლომი, ხოლო ნაშრომის ავტორებს კი ფულადი პრიზები.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იძებნება დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება, როგორ სრულდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურები მიკრობიოლოგიურ კვლევების დროს. ვინაიდან მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში მაგისტრანტებს შეიძლება შეხება ქონდეთ პოტენციურ პათოგენებთან (პირობით-პათოგენურ ბაქტერიებთან, რომლებშიც ხშირია ანტიბიოტიკორეზისტენტობა), შესაძლო საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით აუცილებელია დაწესებულებას გაწერილი ქონდეს SOP ინსტრუქციები და აღწერილი ქონდეს ნარჩენების გაუვნებლობის პროცედურები და წესები.

ვინაიდან სამაგისტრო სწავლების საფეხური ითვალისწინებს სამეცნიერო ექსპერიმენტული კვლევების შესრულებას, სასურველია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი, რომელიც გაეცნობიან წარმოდგენილ საპროექტი კვლევით წინადადებებს, შესაბამის სამუშაოს ეთიკურ შეფასებას გააკეთებენ და კვლევაზე ნებართვას გასცემენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.4.1)
- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2.4.2)
- კურიკულუმის რუკა
- პრაქტიკის ამსახველი მასალა
- ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები
- თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
- გამოკითხვები
- ინტერვიუ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge - დანართი 2.4.5
- სტუდენტთა გზამკვლევი <https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html> (დანართი 2.4.10)
- გამარჯვებული საგრანტო პროექტები (დანართი 2.4.11)
- სტუდენტთა სამეცნიერო პუბლიკაციები (დანართი 2.4.12)
- სერტიფიკატები (დანართი 2.4.13)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა
- სასურველია უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/საბჭო ან მემორანდუმი გააფორმონ სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის კვალიფიკაციათა აღმწერით არის განსაზღვრული.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებისათვის პედაგოგიური პერსონალი იყენებს შემდეგ მეთოდებს: ლექციის, ლაბორატორიული

<p>მეცადინეობის, პრაქტიკული, ჯგუფური მუშაობის, სავლე პრაქტიკის და სხვა. სწავლება ხორციელდება სხვადასხვა აქტივობით: ვერბალურით, დემონსტრირებით, ახსნა-განმარტებით, დაკვირვება/აღწერით, შედარებით, ჯგუფური მუშაობით, დისკუსია/დებატებით, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით; პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით, თანამშრომლობითი სწავლებით, შემთხვევის ანალიზით, ელექტრონული სწავლებით და სხვა</p> <p>რეაქრედიტაციისთვის მზადებისას დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისობა სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო კურსის მიზნებსა და კურსის სწავლის შედეგებთან, გადამოწმდა ან განახლდა სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა, შემოწმდა მათი ხელმისაწვდომობა საბიბლიოთეკო ან სხვა ფონდებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2.5.1) ▪ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.5.3) ▪ თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2.5.3) ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები (დანართი 2.5.4) ▪ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p> <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტთა შეფასება ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში და ხორციელდება კანონმდებლობითა და ბსუ-ს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს ვებ-გვერდზე და სტუდენტის გზამკვლევაში.</p> <p>სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს მიმდინარე შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულიანია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასება შეადგენს 40 ქულას, ხოლო შუალედურის შეფასება - მაქსიმუმ 20 ქულაა. სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობის ამალღებისა და სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში დადგენილია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: მიმდინარე შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა).</p> <p>გამომდინარე აღნიშნულიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა, მეთოდები, შუალედური და საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები არის უნიფიცირებული პროგრამის სასწავლო კურსებისთვის, რაც ნაკლებ ეფექტურს ხდის შეფასების მექანიზმს, ზუნებრივია ვერ იძლევა გარანტს იმის შესახებ, რომ მოერგება დარგის და ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკას და მის სირთულეს. ეს ფაქტი გართულებს შედეგების სწორ შეფასებას და შესაბამისად შეიძლება ხელი შეუშალოს პროგრამის შემდგომ განვითარებას. ამიტომაც, ცალკეულ კურსებში შეიმჩნევა გამჭვირვალობის ნაკლებობა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში და შესაბამისად ბუნდოვანია, თუ რამდენად მოხდება სწავლის შედეგების სრულყოფილი შეფასება.</p> <p>შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური გამოცდა ტესტირებით (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ზეპირი პრეზენტაციები, დასკვნითი გამოცდა (წერითი ან ვერბალური ფორმით), სიტუაციური შემთხვევის ანალიზი და სხვა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებია: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო და სხვ. თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p>
--

ბსუ-ში მოქმედი გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის მიხედვით, გამოცდა ტარდება კომისიური წესით. ხდება დასკვნითი გამოცდების ნაშრომების დაშიფრვა. დაშიფრული ნაშრომები შესაფასებლად გადაეცემა შესაბამის პედაგოგიურ პერსონალს. შემფასებელი უკუკავშირის მიზნით შეფასებულ ნაშრომზე აკეთებს წერილობით, განმავითარებელ კომენტარებს და განმარტავს, კონკრეტულად რა ხარვეზის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა. შეფასებული ნაშრომი მიეწოდება სტუდენტს გასაცნობად. ამგვარი მიდგომა სტუდენტს აძლევს საშუალებას, გაიაზროს დაშვებული შეცდომები და დაგეგმოს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. მიღებულ შეფასებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს აპელაციის მექანიზმი. ასე რომ, გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრებას და შესაბამის პროცედურასაც. გასაჩივრების პროცესი აღწერილია პროგრამის დოკუმენტაციაში. შემუშავებულია შეფასების შედეგების შეჯერების პოლიტიკა და პროცედურები კურსისა და პროგრამის მენეჯმენტის ინფორმირებისათვის.

შეფასების შედეგები ვლინდება ვირტუალური, ელექტრონული სასწავლო გარემოს ინსტრუმენტის გამოყენებით (უნივერსიტეტის ელ პორტალზე - portal.bsu.edu.ge, რომელიც მრავალმხრივ და ეფექტურ სამსახურს უწევს არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ პედაგოგიურ პერსონალსაც), რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი შედეგებისა და ნებისმიერი უკუკავშირის ნახვა.

ბსუ-ში შემუშავებულია სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა, რომელიც გაწერილია „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესში“. პლაგიატის პრევენციის და/ან ანტიპლაგიატის გაძლიერების მიზნით წესი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ პირებს მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა, დანართი 2.6.1
 - თვითშეფასებს ანგარიში და საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.6.1)
 - სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2.6.4)
 - ვებ-გვერდი და ელექტრონული პორტალი (დანართი 2.6.9) <https://portal.bsu.edu.ge>
 - გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია (დანართი 2.6.5)
 - სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 2.6.8)
 - სტუდენტთა გზამკვლევი <https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html> (დანართი 2.6.3)
 - ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

- რეკომენდაციები:**
- სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან. სასწავლო კურსების შეფასების სისტემები შემუშავდეს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
 - კურსის შედეგები აისახოს მისი შეფასების მეთოდებში და დაზუსტდეს პროგრამის შედეგებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი სწავლის განმავლობაში იღებს სათანადო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, შეფასებებსა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე უნივერსიტეტის შემდეგი ადამინისტრაციული და აკადემიური სამსახურების ერთეულებისგან: სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტური პორტალი, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი.

სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულების თანახმად დეპარტამენტს აკისრია შემდეგი ფუნქციები: უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალის ადმინისტრირება, სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადება და განხორციელების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაცნობა; სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება და ა.შ.

ინტერვიუს, თვითშეფასების ანგარიშის და დოკუმენტაციიდან გამომდინარე აღსანიშნავია ბსუ-ს ელექტრონული პორტალი და მისი გამოყენება, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას აწოდებს სტუდენტს სასწავლო განრიგზე, სასწავლო კომპონენტებსა და მიმდინარე შეფასებების შესახებ.

ადმინისტრაციული პერსონალის გარდა, ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი იღებს დახმარებას აკადემიური პერსონალისგან სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტური კონსულტირების მეშვეობით: შუალედური და საბოლოო გამოცდის ფორმატის, მიმდინარეობისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით და სხვა. აკადემიური პერსონალის საკომსულტაციო განრიგი ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტში, ასევე ელექტრონულ ვებ-გვერდზე. ინტერვიუს მეშვეობით გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივ კავშირზეა სტუდენტებთან ტელეფონის და ელექტრონული მედიის საშუალებით.

სტუდენტების ინტერვიუებისას მკაფიოდ იყო აღნიშნული პროგრამის მხარდაჭერა მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაში.

ბსუ-ში ასევე წარმოდგენილია კურატორთა სისტემა, რის ვალდებულებებშიც გაწერილია სამუშაო გეგმის გაწერა, ლექცია - სემინარებზე სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი და სისტემატიური გაცდენის შემთხვევაში მიზეზის გამოვლენისა და აღმოფხვრის ხელშეწყობა, სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გავლის ხელშეწყობა, საუნივერსიტეტო ცხოვრების ძირითად მოვლენებზე სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება, კურიკულუმის გარე საქმიანობის (დასვენება, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, მუსიკალური საღამოების) სათანადო ორგანიზების ხელშეწყობა და სხვა.

აგრეთვე აღსანიშნავია პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ინფორმირებულობა და მონაწილეობის მიღება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებზე, ღონისძიებებსა და კონფერენციებზე. სტუდენტების დიდი რაოდენობა იღებს მონაწილეობას საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში. ბსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება, სადაც დეტალურად გაწერილია სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზნები, მონაწილეობის კრიტერიუმები, სამეცნიერო ნაშრომის შესრულება-გაფორმება, საკონფერენციო ნაშრომების შერჩევის წესი და სხვა. სტუდენტებს მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია ელექტრონული პორტალისა და უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით.

ბსუ-ში არსებობს სტიპენდიების და სოციალური შეღავათების პრაქტიკა, როგორცაა საუნივერსიტეტო სახელობის სტიპენდია, საფაკულტეტო სახელობის სტიპენდიები (მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის) და სხვა.

ბსუ-ში ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შეხვედრები, როგორც ადგილზე ასევე ონლაინ ფორმატში, სადაც დამსაქმებლები ეცნობიან საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და სტრუქტურას, წარმოადგინენ რეკომენდაციებისა და რჩევებს, ასევე ყურადღება ამახვილებენ პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სტუდენტთა სტაჟირების პროგრამებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება“
- ელექტრონული პორტალი - <https://portal.bsu.edu.ge>
- ინტერვიუს შედეგები
- საკონსულტაციო განრიგი
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის N137 დადგენილება „ბსუ-ს ფაკულტე-ტების სასწავლო დეპარტამენტებში კურატორის საქმიანობის ორგანიზების შესახებ
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსი-ტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ
- ბსუ-ს ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge
- ბსუ-ს სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია - 2021 - <https://bsu.edu.ge/main/page/14627/index.html>
- შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან - <https://www.bsu.edu.ge/sub-11/page/14412/index.html>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 უსდ-მ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მეტი ჩართულობა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.

მაგისტრანტი და მისი ხელმძღვანელი შეთანხმებით ირჩევენ სამაგისტრო თემას მაგისტრანტის ინტერესების შესაბამისად და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს დაამტკიცება ხდება ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით. ამის შემდეგ მაგისტრანტი და ხელმძღვანელი ერთობლივად ადგენენ სამუშაო გეგმას. მაგისტრანტს მოეთხოვება შესაბამისი ლიტერატურის შესწავლა, ექსპერიმენტის ან კვლევის ჩატარება და დასკვნების გაკეთება.

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის მიხედვით სწავლების მეორე წლიდან გათვალისწინებულია სამაგისტრო ხელმძღვანელობის საათები, რომელიც ითვალისწინებს ერთი ნაშრომზე 20 საათს. ასევე ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად დასაშვებია ერთი პირის მიერ ერთდროულად რვა სადოქტორო/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, მათ შორის არაუმეტეს ორი სადოქტორო და არაუმეტეს სამი სამაგისტრო ნაშრომის ან ერთდროულად არაუმეტეს ხუთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტის სტატუსის შეჩერებული დოქტორანტის ან მაგისტრანტის ნაშრომი არ ჩაითვლება განსაზღვრულ რაოდენობაში.

ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელთან საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბსუ-ში შემუშავებულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი, რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების (მაგ. ნაშრომი ანდ/და სტატია და სხვა) გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეთიკური ნორმების და სტანდარტების აღიარება და დაცვა.

ზემოაღნიშნული წესის მიხედვით პლაგიატის პრევენციისთვის ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ბსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ
- სტუდენტთა მიერ შესრულებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის წარმოდგენილი ნაშრომების ანტიპლაგის პროგრამით შემოწმება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N03 „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი“;
- ბსუ-საკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №56 დადგენილება „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“
- პროგრამაში მონაწილე პირთა CV
- კონსულტაციების განრიგი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ ბიოლოგიის დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, მათ გააჩნიათ მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე უცხოეთში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა რეგულაციებით: უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებით, სადაც დაწვრილებითაა გაწერილი აკადემიური პერსონალის ფუნქციები და საქმიანობა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა. აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხდება ღია კონკურსით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ მოწოდებულ დანართში „პერსონალის აქტივობა“ წარმოდგენილი ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია, სადაც ჯეროვნადაა წარმოდგენილი ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალი, მათ მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია წამყვანი პერსონალის მრავალი პედაგოგიური თუ სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები, როგორც საერთაშორისო ასევე ეროვნულ დონეზე, მათ შორის: სამეცნიერო ფორუმები, სტაჟირებები, ტრენინგები, საერთაშორისო საგრანტო და შიდასაუნივერსიტეტო პროექტები, გაცვლითი პროგრამები და სხვა. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 პერსონალი. მათ შორის 19 აკადემიური, 14 მოწვეული, რომელთა შორის 4 მეცნიერია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მეცნიერთა ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (19/14), ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (33/14) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ხაზს უსვამს ბიოლოგიის მულტიდისციპლინარულ ასპექტს და საბაზისო ბიოლოგიის გარდა წარმოდგენილია მიმართულებები: გენეტიკა, ბიომრავალფეროვნება და ჰიდრობიოლოგია, რაც ცალახად მისასაღმებელია. გამოდინარე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აჭარის რეგიონის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ინსტიტუციები, უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალით, მათ შორის: ბსუ-ის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი, ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღი, შპს „მავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, სსიპ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიული კვლევების ცენტრი და სხვა.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან სპეციალისტებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, სადაც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად მათ გაითვალისწინეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდაა ჩართული პროგრამის სწორად და ეფექტურად წარმართვის საქმიანობაში.

უნივერსიტეტში პროგრამის ხარვეზების გამოვლენის, აღმოფხვრის და შემდგომი განვითარების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა, შეფასება, აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილია შესაბამისი დანართების ფორმით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება კურსდამთავრებულელებულებთან;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის უმნიშვნელოვანესი მიზანია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზს. უნდა აღინიშნოს რომ უნივერსიტეტში დანერგულია აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა (<https://apa.bsu.edu.ge>), რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონეტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს, მნიშვნელოვანია რომ სისტემის საშუალებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ შენიშვნები და სურვილები. სისტემა ინოვაციურია და ჩვენი აზრით იმსახურებს ყურადღებას, რათა მოხდეს მსგავსი ინოვაციების დანერგვა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს და ხელს უწყობს, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების დაფინანსების საკითხებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობისთვის.

2016 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი შიდა საგრანტო კონკურსი, აღნიშნული ცალსახად ხელს უწყობს და ემსახურება აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას. იგივე მიზანს ემსახურება საზაფხულო/ზამთრის სკოლის ჩატარების დაფინანსების ხელშეწყობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, რისთვისაც ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების მიზნით რექტორის ბრძანებით ცხადდება შიდა კონკურსები.

სამაგისტრო პროგრამის პედაგოგიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ საგრანტო პროექტებში, პროექტების იმპლემენტაცია ხორციელდება რეგიონის სხვადასხვა წამყვან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ჩართულობით, რაც მისასალმებელია.

ხაზი უნდა გაესვას საგრანტო პროექტებში მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობას, რაც ერთი-ორად ზრდის როგორც პროექტების სამეცნიერო-კვლევით ასევე საგანმანათლებლო ღირებულებას, პედაგოგებისა თუ სტუდენტების პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული „ბსუ-ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა“ რომლის მიზნებია: ა) გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა; ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება; გ) საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში გაერთიანება და საუნივერსიტეტო ქსელებში ჩართულობა; დ) უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა; ცალსახად ხელს უწყობს უნივერსიტეტის პედაგოგიურ/საგანმანათლებლო და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას და განვითარებას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებისთვის აქტიური საქმიანობის მაჩვენებელია, მათი ჩართულება უნივერსიტეტის მოქმედ „ERASMUS+“ პროექტებში.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიოს მრავალ წამყვან სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა, მათ შორისაა: ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღი, მტირალას ეროვნული პარკი, „დაცული ტერიტორიების სააგენტო“, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, „აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო“, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს - მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, სსიპ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიული კვლევების ცენტრი, შპს „Geomax International (“Vanrik Agro Group)“, შპს „გამა კონსალტინგი“ და სხვა.

უნივერსიტეტს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გააჩნია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე აკადემიური რესურსი.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ აქტიურად ფასდება პროფესორის თუ სხვა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, რაც გათვალისწინებულია არა მხოლოდ პროფესორის არჩევნების კონკურსებზე, არამედ ფინანსური წახალისებითაც. სამწუხაროდ (ისევე როგორც უმრავლეს უნივერსიტეტებში, საქართველოში) არ არის დახვეწილი მექანიზმები მათი აკადემიური (სახელმძღვანელოს დაწერა, სახელმძღვანელოს თარგმნა, ახალი სასწავლო კურსების დანერგვა, საკვალიფიკაციო კურსების, ტრენინგების, პროფესიული სკოლების მოწყობა, სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება და მხარდაჭერა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სტუდენტების მომზადება კონფერენციებისთვის და სხვ.) და საჯარო აქტივობების (პოპულარული, საჯარო, ღია ლექციების წაკითხვა, სკოლის მოსწავლეების სპეც პროექტების მომზადება, აბიტურიენტებთან გაცნობითი შეხვედრები და დარგის პოპულარიზაცია და სხვ.) წახალისებისა და სტიმულირებისა, რაც სტუდენტებისთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა და რაც უკვე სოლიდურად ფასდება ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებში.

ლექტორის მიერ გაწეული ისეთი აქტივობა, როგორიცაა სახელმძღვანელოების (სალექციო კურსები, ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებულები, ლაბორატორიული პრაქტიკუმების კრებულები) წერა/თარგმნა/რედაქტირება, სრულიად დაუფასებელი და ქულებით შეუფასებელი შრომაა. ვფიქრობთ, პირიქით უნდა იყოს - ეს ყველაზე მეტად სჭირდება სტუდენტებს. კარგი სახელმძღვანელო, რომელიც მორგებულია სალექციო კურსებთან, დიდი კომფორტია სტუდენტისთვის და საგნის წარმატებით დაძლევის ერთგვარი გარანტია. პროფესორის არჩევის კონკურსზე კონკურსანტს სამეცნიერო სტატეის/სამეცნიერო კონფერენციებზე გამოსვლებს სავალდებულო სახით ვთხოვთ, მაგრამ სახელმძღვანელოს მომზადება (და სხვა ამდაგვარი ტიპის აქტივობა) არ არის იმდენად საჭირო, რომ მისი შექმნის წახალისებაც გაკეთდეს. ნუთუ სწავლებისთვის რიდერებიც საკმარისია?!

ნუთუ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება არის პრიორიტეტული აკადემიური (ხაზს ვუსვამთ!) პერსონალისთვის. რაში გამოადგება სტუდენტს ლექტორის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში დაბეჭდილი სტატია და მისი ექსპერტობა დარგის რომელიმე ვიწრო საკითხში. ნუთუ მხოლოდ ასეთი პროფესორი

უფრო კარგად გაიყვანს სტუდენტებს სილაბუსში გაწერილ შედეგებზე? ნუთუ მხოლოდ ის უკეთ დაიყვანს სტუდენტების ცნობიერებამდე ზოგად სალექციო მასალას?

კვლევით კომპონენტს რაც შეეხება, სტუდენტს ესაჭიროება **კარგად გამართული სასწავლო ლაბორატორია**, რათა ამ ბაზაზე თვითონ შეასრულოს **პროგრამული** პრაქტიკული დავალება (და არა ლექტორის მიერ ჩატარებული და მისსავე სამეცნიერო პუბლიკაციაში აღწერილი ძალიან სპეციფიკური გამოკვლევა). ამაში მას პრაქტიკულ მეგზურობას ვერ გაუწევს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიები ძალიან სპეციფიკურ თემაზე და რთულ აპარატურაზე ჩატარებული ექსპერიმენტებით.

მიგვაჩნია, რომ აკადემიური პერსონალი შეიძლება აღარ იყოს **აქტიური** მეცნიერ-მკვლევარი, როგორც იგი აღრე იყო (სამეცნიერო რეგალიების მოპოვებამდე). ველარ იქნება ისეთივე აქტიური, რადგან აკადემიურ საქმიანობაზე გადაერთო და ორივეს ერთნაირი წარმატებით ველარ გაართმევს თავს, მან არჩევანი სასწავლო კომპონენტის სასარგებლოდ გააკეთა მაშინ, როცა პროფესორის თანამდებობა დაიკავა. უნივერსიტეტი, პირველ ყოვლისა, სასწავლო დაწესებულებაა, სადაც სამეცნიერო-კვლევითი უნარები უნდა განვითაროს ახალგაზრდამ და თავისი სტატუსის შესაფერისი სამეცნიერო-კვლევითი მინი-პროექტები შეასრულოს.

სასწავლო პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად და აკადემიური პროდუქტიულობის გასაძლიერებლად აუცილებელია, რომ პროფესორის თუ სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება მოხდეს. ასეთ შემთხვევაში მათ მეტი სტიმული ექნებათ შექმნან სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე (რისი დიდი დეფიციტიც არსებობს!!!), დანერგონ ახალი სასწავლო (თეორიული თუ ლაბორატორიული) კურსები, წაიკითხონ ღია, საჯარო ლექციები (საკუთარ თუ სხვა უნივერსიტეტებში), პოპულარიზაცია გაუკეთონ დარგს, ორგანიზება გაუკეთონ ტრენინგებს, პროფესიულ სკოლებს, კონფერენციებს, მოხსენებებისთვის მოამზადონ სტუდენტები, უხელმძღვანელონ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულებას, გაცნობითი შეხვედრები მოაწიონ აბიტურიენტებთან და სხვ.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
 - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
 - ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები;
 - აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა;
 - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
 - სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
 - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
 - დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“;
 - აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა
 - <https://apa.bsu.edu.ge>;
 - გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
 - გასაუბრება კურსდამთავრებულებულებთან;
 - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;

რეკომენდაციები:

შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების შესაბამისი დონეებით. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი გამომცემლობა და სტამბა.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე სამკითხველო სივრცით და აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით, ღია და დახურულ სპორტულ დარბაზებს, სტუდენტთა და პედაგოგთა თავისუფალი შეხვედრებისა და დასასვენებელ სივრცეებს (სივრცე „ეკოპაბი“), საკონფერენციო დარბაზებს და სხვა.

ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.

ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL“ კონსორციუმის წევრად, რაც ქმნის შესაძლებლობას გამოყენებული იქნეს ისეთი ელექტრონული რესურსები როგორებიცაა: Cambridge University Journals; Oxford University Journals; Oxford Reference Online; Royal Society Journals Collection და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შესასრულებლად არსებობს ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები მაგ: ბოტანიკის, ზოოლოგიის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის სასწავლო კაბინეტები, უჯრედული ტექნოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, იმუნოგენეტიკის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, ხაზი უნდა გაესვას, რომ პროგრამა მიმდინარებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბაზაზე, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების სასწავლო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია უახლესი ბიოსამედიცინო ხელსაწყო-დანადგარებით, მათი გამოყენება სასწავლო-კვლევითი მიმართულებით წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს ისეთი მულტიდისციპლინარული მიმართულებისთვის როგორიცაა ბიოლოგია.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია, დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და კომპიუტერული ტექნიკით, ასევე ბსუ-ის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბაზა რომელიც მოიცავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 1557, 4 კვ.მ შენობა-ნაგებობებს და მათზე დამაგრებული 4073 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

როგორც აღინიშნა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიის მულტიდისციპლინარულ ასპექტს და საბაზისო ბიოლოგიის გარდა წარმოდგენილია მიმართულებები: გენეტიკა, ბიომრავალფეროვნება და ჰიდრობიოლოგია, გამოდინარე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აჭარის რეგიონის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ინსტიტუციები, უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალით. წარმოდგენილი ხელშეკრულებები და მემორანდუმები როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ცალსახად მისასალმებელი და საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს წარმართლოს წამოდგენილი უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

ხაზი უნდა გაესვას პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ მემორანდუმებს აჭარის ავტონომიური რეესპუბლიკის, უდავოდ მსოფლიოს მასშტაბით, უნიკალურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, პარკებთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოებთან, როგორებიცაა: ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო-მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“, „აჭარის არ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს“, გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სსიპ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიული კვლევების ცენტრი, შპს „Geomax International“ (Vanrik Agro Group); შპს „გამა კონსალტინგი“, ა(ა)იპ „საბუკო“ - საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“;

ართვის უნივერსიტეტი; ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური და სხვა.

ბათუმის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმულია პროგრექტების 2016-2019 Erasmus+ საგრანტო პროექტის „ARTIST“ და ევროკავშირის მოქმედი გრანტის „CoLLLab“ როლზე, კერძოდ იმუნოგენეტიკისა და ბიოუსაფრთხოების ლაბორატორიების მატერილურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ და თავისი შესაძლებლობებით არ აქვს ანალოგი საქართველოში, მათ შორისაა: სტუდენტთა სასწავლო პროცესს დაგეგმვა; სისტემა ეხმარება სტუდენტებს და უნივერსიტეტის სამსახურებს კომუნიკაციაში; სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში; აღნიშნულ პლათფორმაზე ასევე ფუნქციონირებს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა. როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი, ასევე სტუდენტები ინფორმირებულები არიან ყველა იმ შესაძლებლობების და რესურსების შესახებ რაც გააჩნია უნივერსიტეტს, ასევე მათთვის ხელმისაწვდომია არსებული რესურსები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიში;
 - ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით;
 - ონლაინ ჩართვები დამსაქმებლებთან და მათთან გასაუბრება;
 - ვიდეოფაილი ინფრასტრუქტურის და შესაძლებლობის სადემონსტრაციოდ;
 - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
 - გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან;
 - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა დანართის სახით წარმოგვიდგინა, როგორც უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტი, ასევე ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი სადაც ჩანს, რომ წარმოდგენილი პროგრამაზე სტუდენტის სწავლის ღირებულება შეადგენს 2.250 ლარს წელიწადში.

ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი, მოიცავს სხვადასხვა ხარჯვით კატეგორიებს, რაც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისათვის, ხარჯვით ნაწილში ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 44.535 ლარი (2 წლის განმავლობაში), საიდანაც:

- ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია:**
- ✓ შრომის ანაზღაურება - 26.535 ლარი;
 - ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასხადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მოვლა-შენახვის ხარჯი და სხვა. (ზედნადები ხარჯი) - 18.000 ლარი;

პროგრამის ბიუჯეტის ანალიზი გვაჩვენებს, რომ პროგრამა არ არის ორიენტირებული მოგებაზე, სწავლის ღირებულების გადასახადებიდან მიღებული თანხის თითქმის მთელი წილი (გარდა 465 ლარისა) მიმართულია ხარჯვით კატეგორიებზე.

ინტერვიუს დროს უსდ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლების გამოყენებით, მათ

შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის შემოსავლებით, დაწესებულებას შეუძლია სააგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში. ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს გარდა აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხელფასებისა, სახელმძღვანელოების, მივლინების, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის, ქსეროქსის და სხვადასხვა მომსახურების ხარჯებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ასევე ხდება დამატებითი ფინანსების გამოყოფა კვლევისთვის. ინსტიტუცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
 - ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
 - ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
 - გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საკუთარ აქტივობას საფუძვლად უდებს არამხოლოდ საერთაშორისო რეგულაციებსა და დოკუმენტაციას, არამედ საკუთრივ საუნივერსიტეტო არაერთ მნიშვნელოვან დოკუმენტსა თუ რეგულაციას, რომელიც საფუძველს ქმნის უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის, ემყარება რა უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს, დარგების სპეციფიკასა და საზოგადოების მოთხოვნებსა და უახლეს გამოწვევებს. საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არეგულირებს, აწესრიგებს და მართავს სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესებს საუნივერსიტეტო სივრცეში. ის თავის თავზე იღებს ლიდერულ პოზიციებს, სიახლეებისა და ინოვაციების დაგეგმვისა და გავრცელების თვალსაზრისით.

საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გამომდინარე საფაკულტეტო და დარგობრივი სპეციფიკიდან, ინდივიდუალურად ხედავს და აფასებს კონკრეტულ პროცესებს და მაქსიმალურადაა ჩართული წინამდებარე პროცესების განვითარებასა და სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესების გაუმჯობესებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა დეტალურადაა გადმოცემული *საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში*. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს *აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი* და ასევე *უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც*, რომელიც შემუშავებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით), რაც მიმართულია ინსტიტუციური ხარისხის მუდმივ განვითარებაზე.

პოლიტიკის დოკუმენტი აგებულია სამი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით, კერძოდ, ის უზრუნველყოფს ყველა საუნივერსიტეტო პროცესს, რომელიც არის ღია და გამჭვირვალე, აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და ანგარიშვალდებულებას, რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა უნივერსიტეტის უწყვეტი მდგრადი განვითარებისათვის და სულ უფრო რეალურად ამკვიდრებს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურას. ამ პროცესების საფუძველია აკადემიურ პროცესებში ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობა.

პოლიტიკის დოკუმენტი დეტალურადაა გაწერილი და მოიცავს აკადემიური ინსტიტუციის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ყველა დეტალს, კერძოდ, *სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება; პერსონალის საქმიანობისა და განვითარების პროცედურა; პერსონალის შეფასება და პროფესიული წინსვლა; სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა; სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია*.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი პროგრამის მომზადების პროცესი, ასევე მისი განახლებისა და შეფასების პროცესები. წინამდებარე დოკუმენტი თანმიმდევრულად გადმოსცემს აკადემიური პროგრამების სტანდარტების თავისებურებებს.

მნიშვნელოვან და საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია ელექტრონული პორტალის არსებობა, სადაც ამ ეტაპზე ფაქტობრივად სრულადაა ჩაშენებული სტუდენტური აკადემიური თემები, რომლის მეშვეობით, ერთი მხრივ, სტუდენტს აქვს წვდომა უახლეს ინფორმაციებზე, ხოლო, მეორე მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალება ეძლევა მიიღოს ყველა მონაცემი და არსებითი უკუკავშირე სტუდენტური სივრციდან, შეიმუშაოს სწავლებისა და კვლევის გასაუმჯობესებელი ახალი ამოცანები და დასახოს მიზნები მათ გასაუმჯობესებლად. ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის მსგავსი პორტალის სრულყოფაზე, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს უსდ-ს ბევრ მნიშვნელოვან თემაზე მხარი დაუჭიროს აკადემიურ პერსონალს და ხელი შეუწყოს მათ აკადემიურ წინსვლას.

წინამდებარე პორტალი ასევე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალებაა დამსაქმებლებთან.

მოცემული დოკუმენტები დეტალურად და თანმიმდევრულად ასახავენ ყველა პროცესსა და პროცედურას, რომელსაც ინსტიტუციის შიდა ხარისხის შეფასება გულისხმობს. ამას გარდა ადგილზე წარმართული ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს ნათელი წარმოდგენა შეექმნა დოკუმენტურად მოცემული

რეგულაციების ცალკეულ საკითგებზე, თუმცა რამდენიმე დეტალის გაუმჯობესება და გაფართოება მნიშვნელოვანი იქნება საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ ეტაპობრივად და უფრო აქტიურად ტარდებოდეს ვორკშოპები პროგრამის განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის, მით უფრო, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი სიღრმისეულად არის დაინტერესებული შიდა ხარისხის შეფასების პროცესებით.

შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ ინსტრუქცია შიდა შეფასებას ხედავს, გარე შეფასების ერთგვარ წინაპირობად, რაც რეალისტურია და განხორციელებადი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბსუ-ს წარმომადგელობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის N10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული *საჯარო სამართლი იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება* (დ. 5.1.1);
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის, 14 აგვისტოს N06-01/91 დადგენილება *ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ* (დ. 5.1.2);
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის N37 დადგენილება *ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ* (დ. 5.1.4);
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „*ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ*“; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „*ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ*“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (დ. 5.1.3);
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის, 14 აგვისტოს N06-01/91 დადგენილება *ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ* (დ. 5.1.8);
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები)(დ. 5.1.10);
 - პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, იხ. www.apa.bsu.edu.ge (დ. 5.1.9);
 - ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
 - ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეგულარულად მომზადდეს ვორკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალი, რომლის საინფორმაციო მონაცემები მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას იძლევა შიდა ხარისხის განვითარების ზუსტად დაგეგმის მიზნით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სარეაქტივაციო პორტფოლიოს თანმდევ თვითშეფასების ანგარიშში საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს დეტალურად აქვს წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც პროგრამას წარდგენილი ქონდა ხარისხის გარე შეფასების შემდგომ, კერძოდ კი, 2012 (12.03.2012, N56) წლის აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასების შედეგად. ამას გარდა, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება შესაძლებელი გახდა ავტორიზაციის პროცესში.

<p>აკრედიტაციის შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატა დარგობრივი სასწავლო კურსები (7 ახალი სავალდებულო და არჩევითი სტატუსით), რომელთა თემატიკა მარკირებულია თანამედროვე გარესამყაროს და ცოცხალი ბუნების გამოწვევების საფუძველზე კვლევის ახლებული მიდგომებით დარგის უახლესი მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გასაფართოებლად. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებულია საკვლევი თემატიკა, რომელიც ორიენტირებულია რეგიონში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემებზე დაკვირვებასა და შესწავლაზე, რაც აძლიერებს სამაგისტრო პროგრამის კვლევით კომპონენტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები, გარე შეფასების მექანიზმს ახორციელებენ პერმანენტულად, შესაბამისად კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მონაცემები ასევე ჩაშენებულია ელექტრონულ პორტალში, რაც რეგულარულად ინფორმაციას აწვდის საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დგება შესაბამისი ფოკუს-ჯგუფები და ეწყობა ცალკეული რეკომენდაციების განხილვა.</p> <p>დამსაქმებელთა შეფასების დასკვნაში რეკომენდებული იყო შემდეგი თემების გაძლიერება სასწავლო პროგრამაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების წილის გაზრდა ზოგიერთ სასწავლო კურსში; • პროგრამაში საწარმოო/ლაბორატორიული პრაქტიკის კომპონენტის დამატება; • ახალი სასწავლო კურსების დამატება, როგორცაა, <i>დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება და დაცვა; გეოინფორმაციულ სისტემები GIS.</i> <p>წინამდებარე რეკომენდაციები პროგრამის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებულ იქნა.</p> <p>გარე კოლეგიური შეფასებას პროგრამის განმახორციელებლები ასევე მიმართავენ ქვეყნის შიგნით დარგის ექსპერტებთან კონსულტირების ფორმატში, რაც ასევე განხორციელდა წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამისათვის, კერძოდ, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა ივანე ჯავაიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის გამგის პროფ. ნ.კოტრიკაძის მიერ.</p> <p>შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგ თემებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, რაც დამსაქმებელთა მხრიდან კადრების შერჩევის მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება; • ზოგიერთ სასწავლო კურსში ლაბორატორიულ მეცადინეობათა წილის გაზრდა, მაგ. გენის მოლეკულურ ბიოლოგიაში, უჯრედულ ბიოტექნოლოგიაში და ა. შ. • სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურის განახლება; • საგანმანათლებლო პროგრამაში ბიოუსაფრთხოების სწავლების კომპონენტის შეტანა. <p>სასურველია გაფართოვდეს გარეშეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში აგრეთვე უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ, რაც ხელს შეუწყობს არამხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, არამედ პროგრამის კარგი პრაქტიკის გასაჯაროებას და მისი ცნობადობის ამაღლებას პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი დარგის სპეციალისტთა წრეებში, ხოლო მათგან მიღებული რჩევები თავის მხრივ, საფუძველს დაუდებდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ახალ ეტაპს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ (დ. 5.2.1); • ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები (დ. 5.2.3); • პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება (დ. 5.2.4); • ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმი N2 (დ.5.2.5) • დამსაქმებელთა გამოკითხვა (დ. 5.2.6); • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (დ. 5.2.7); • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები; • ფაქტობრივი ვითარება.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია გაფართოვდეს გარეშეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განვითარებულია რეგიონისთვის სპეციფიკური დარგები და მნიშვნელოვანი კვლევები;
- კვლევების მიმართულებით მჭიდრო კავშირი პრაქტიკისა და კვლევის ობიექტებთან.

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, ასევე ჩართულია ელექტრონული პორტალი, იმდენად რამდენადაც აქ გროვდება გამოკითვების ძირითადი ინფორმაცია, რომლის დამუშავება და ანალიზი რეგულარულ წარმოდგენას იძლევა პროგრამის რეალურ ვითარებაზე.

მონიტორინგის ნაწილში უმაღლესი სასწავლებელი:

- ✓ აანალიზებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებს;
- ✓ აანალიზებს სტუდენტთა გამოკითვებს;
- ✓ აფასებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობას;
- ✓ აფასებს სასწავლო და საგამოცდო მასალებს;
- ✓ აანალიზებს გამოცდების შედეგებს;
- ✓ აკვირდება საგამოცდო პროცესს;
- ✓ აკვირდება სასწავლო პროცესს.

.....

ასევე იწარმოება გამოკითვები:

- ✓ კურსდამთავრებულთა;
- ✓ დამსაქმებელთა;
- ✓ და სხვა დაინტერესებულ პირთა.

ანალიზის შედეგად დგინდება:

- ✓ არსებული ხარვეზები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციის დონე.

მონიტორინგის პროცესი პროგრამის განმახორციელებლებმა გამოიყენეს კურიკულუმის განვითარების მიზნით. განხორციელებულ ცვლილებებს შორისაა:

- ✓ სილაბუსებში გათვალისწინებულ იქნა სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- ✓ განახლდა სასწავლო კურსის თემატიკა;
- ✓ კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსი **ბიოუსაფრთხოება**;
- ✓ რიგ სასწავლო კურსებში გაიზარდა პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობათა თანაფარდობა;
- ✓ გაიხსნა მორფოლოგიის ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვა მიკროსკოპებით;
- ✓ გაიხსნა მარიკულტურის ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ხელსაწყო-აპარატურით;
- ✓ გაიზარდა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კომპონენტების წილი.

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება განხორციელდა ასევე დამსაქმებელთა რეკომენდაციის საფუძველზე (პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები, როგორცაა **ბიოუსაფრთხოება; დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება და დაცვა**.)

ასევე აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა რჩევები სასწავლო კურსების დამატებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გეოინფორმაციული სისტემები (GIS) - შევიდა ბიომრავალფეროვნებისა და ჰიდრობიოლოგიის კონცენტრაციების სავალდებულო კურსად, რაც საგანმანათლებლო პროგრამას ორიენტირებულს ხდის სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე მიდგომების გამოყენებაზე; ცალკეული რუბრიკა და ტექნიკური დეტალები დაზუსტა 4

<p>სასწავლო კურსში, რაც დეტალურად იყო აღწერილი თვითშეფასების დოკუმენტში, თუმცა დეტალური კომენტარი და არგუმენტაცია ამ ცვლილებებზე საექსპერტო ჯგუფმა მიიღო ინტერვიუების პროცესში. სტუდენტს მომავალი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ინტერესის შესაბამისად შეთავაზებული აქვთ 5 ახალი არჩევითი კურსი: <i>ეთნობოტანიკა, ვაქცინები და იმუნური მეხსიერება; სოკოთა სამეფოს მრავალფეროვნება; ანტიბიოტიკორეზისტენტობის გენეტიკური საფუძვლები და ევოლუცია, ეპიგენეტიკა.</i> მოქმედი პროგრამის სასწავლო კურსები: ადვენტურ (ინვაზიურ) მცენარეთა ბიოეკოლოგია; არჩევითი სტატუსი მიეცა 4 სასწავლო კურსს: <i>კოლხეთის რელიქტური ტყეები; მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ბალანსის ბიორეგულაცია; ეკოლოგიური მორფოლოგია, ჰიდრობიონტთა პროდუქტიულობის განსაზღვრის მეთოდები; იქთიოპარაზიტოლოგია და მუტაგენეზი.</i> უსდ-ს მიერ მოწოდებული მასალების, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობამ დაადასტურა ის ცვლილებები, რაც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები - (დ. 5.2.2); • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება <i>ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ</i> (დ. 5.3.1); • ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები (დ. 5.3.3); • პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა (დ. 5.3.4); • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები; • ფაქტობრივი ვითარება.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევითი და ექსპერიმენტული კომპონენტების ინტენსიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამაში; • კვლევითი ინფრასტრუქტურის გაფართოება.
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
 სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



ბესარიონ ლასარეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის




ნათია ლაჭავა



ნინო ქიმერიძე



ლევან ციციშვილი



ლანა ბოკუჩავა